

პოლიტიკის დოკუმენტის რეზიუმეს ფარგლებში წარმოდგენილ „რისკის ანალიზზე დაფუძნებული სურსათის უვნებლობის სისტემის დანერგვა: გამოვლენილი ნაკლოვანებები და გამოსწორების რეკომენდაციები“-ის

კომენტარები

ზემოთ აღნიშნული სათაურით რისკის შემფასებელი სტრუქტურები გაეცნენ ორ ნაშრომს. ვთვლით, რომ ჩვენს მიერ წარმოდგენილი კომენტარები ხელს შეუწყობს ნაშრომში წარმოდგენილი მოსაზრებების თაობაზე ობიექტური დასკვნების ფორმირებას და რისკის შეფასების არსებული ვითარების არგუმენტირებულ შეფასებას. ამასთან გვსურს წარმოგიდგინოთ საერთაშორისო სტანდარტით (Ca\GL-62-2007) გათვალისწინებული განმარტება მთავრობების მიერ, სხვადასხვა პოტენციალისა და რესურსების არსებობის შემთხვევაში, სხვადასხვა მიდგომების გამოყენების შესაძლებლობის შესახებ:

Ca\GL-62-2007) განმარტება

“რისკის ანალიზის პრინციპების განხორციელებისას მთავრობები გამოიყენებენ სხვადასხვა მიდგომებსა და დროებით ჩარჩოებს ქვეყნის პოტენციალისა და რესურსების გათვალისწინებით”

რაც სამწუხაროდ, პოლიტიკის დოკუმენტის რეზიუმეს ფარგლებში არ იქნა ავტორის მიერ მხედველობაში მიღებული.

რისკის შემფასებელი სტრუქტურების კომენტარები

მოსაზრება: *“სამსახურის მიერ მომზადებული რისკის შეფასებები მოიცავს, როგორც წესი, მხოლოდ საფრთხის იდენტიფიკაცია-აღწერას, რომელსაც შემდეგ მოსდევს რეკომენდაციები ამ საფრთხის შესამცირობლად. დოკუმენტები არ შეიცავს ინფორმაციას ან შეფასებებს საქართველოში ამ საფრთხისადმი ადამიანთა ექსპოზიციის და შესაბამისი დაავადების ან ჯანმრთელობის დაზიანების (ანუ საკუთრივ რისკის) მასშტაბის თაობაზე.”*

კომენტარი:

- „რისკის შეფასების სამსახური“ არ ახორციელებს რისკის შეფასებას და შესაბამისად მის მიერ არ ხდება „რისკის შეფასების მომზადება“ რაც თავისთავად გაურკვეველ ტერმინს წარმოადგენს;

- რისკის შეფასების ფარგლებში სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭო (შემდგომში საბჭო) (თავმჯდომარე პროფესორი ქეთევანი დადიანი) ახორციელებს „სამეცნიერო დასკვნის“ მომზადებას მოწვეული პროფილური მეცნიერ-ექსპერტების მონაწილეობით.

- რისკის შეფასების ფარგლებში მომზადებული სამეცნიერო დასკვნა არ მოიცავს მხოლოდ „საფრთხის იდენტიფიცირება-აღწერას“.

აღსანიშნავია, რომ რისკის შეფასების პროცედურა საქართველოს კანონმდებლობაზე დაყრდნობით მოიცავს ოთხ საფეხურს, რომელთაგან პირველი ორი: „საფრთხის იდენტიფიცირება და საფრთხის აღწერა-დახასიათება“-ა, რაც ავტორის მიერ ფორმულირებულია - როგორც ერთი საფეხური? (აღბათ ეს ტექნიკური ხასიათის უზუსტობაა). რაც შეეხება შინაარსობრივ მხარეს, წარმოგიდგენთ ჩვენს კომენტარს:

- რისკის შეფასების სამსახურთან თანამშრომლობით ხორციელდება სამეცნიერო და ტექნიკური მონაცემების საჭიროებისამებრ მოკვლევა, შეგროვება, თარგმნა, აღრიცხვა და ანალიზი, რაც სცილდება რისკის შეფასების მეთოდოლოგიაში რისკის შეფასების სრული ბაზისური სქემით პირველი ეტაპისთვის (მხოლოდ საფრთხის იდენტიფიცირება-აღწერის) გაწერილ პროცედურებს.

- ასევე არ არსებობდა არავითარი შეზღუდვა რისკის შეფასების მეორე საფეხურზე საფრთხის დახასიათებისას დოზა-პასუხის შეფასებისთვის, რაც განხორციელდა შეფასებას დაქვემდებარებული ქიმიური თუ ბიოლოგიური აგენტებისთვის - სათანადო სამეცნიერო მონაცემების საფუძველზე. ამ სახის მონაცემების მოძიება ძირითადად ხორციელდება საერთაშორისო და ავტორიტეტული ორგანიზაციებისა და ინსტიტუციების (EFSA, Codex Alimentarius, FAO, WHO, OIE და სხვა) ოფიციალური ინტერნეტ-წყაროების გამოყენებით ან მათთან უშუალო წერილობითი კონტაქტების გზით.

მოსაზრება:

„აღსანიშნავია, რომ მიუხედავად რეკომენდაციების არასაკმარისი დასაბუთებულობისა (რისკის მასშტაბის დახასიათების თვალსაზრისით), ერთ შემთხვევაში - ტრანსიზომერული ცხიმებთან დაკავშირებით - ისინი საქართველოს მთავრობის მიერ გათვალისწინებული იქნა. კერძოდ, 2015 წლის ნოემბერში მთავრობამ მიიღო ტრანსცხიმების რეგულირებასთან დაკავშირებული 10, 2016 წლის ივნისში კი დადგინდა მცენარეულ ცხიმებში ტრანსცხიმების შემცველობის ზღვრული დასაშვები ნორმა. თუმცა არ არის გამორიცხული, რომ ამის მიზეზი არა შეფასების დამაჯერებლობა, არამედ მისი ინიციატორი მეცნიერის (ყოფილი პარლამენტარის) ლობირების უნარი ყოფილიყო. მეცნიერთა რეკომენდაციას აგრეთვე ამყარებდა ის გარემოება, რომ

ტრანსცხიმების შეზღუდვა და მისი დასაშვები ნორმა რეკომენდებულია ჯანმრთელობის დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ.“

კომენტარი:

სავსებით წინააღმდეგობრივია და გაუგებარია ეს განცხადება:

ანუ ეჭვქვეშ დგება ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციების გათვალისწინებით მომზადებული სამეცნიერო დასკვნა ტრანსცხიმების ნორმირების საჭიროების შესახებ?, და დასკვნა ფასდება როგორც „დაუსაბუთებელი?“, თუნდაც მასში ზუსტად არ იყოს იდენტიფიცირებული რისკის მასშტაბი საქართველოსთვის? გვინტერესებს რომელი ნორმატივი იქნა საქართველოში მიღებული რისკის მასშტაბი დადგენის საფუძველზე?

აქვე გვსურს დავაზუსტოთ, რომ მიღებული შედეგი ტრანსცხიმების ნორმირებასთან დაკავშირებით უშუალოდ ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ იქნა მხარდაჭერილი და დადებითად შეფასებული (ამის დასადასტურებლად შეგვიძლია წარმოვადგინოთ ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ევროპის რეგიონალური ოფისიდან მიღებული მასალები და ოფიციალური შეფასებები). რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რისკის შემფასებელი სტრუქტურების მიერ მომზადებული დასკვნებისა და რეკომენდაციების როგორც საჭიროებას, ასევე მათ უტყუარობას.

ქართველ მეცნიერთა აზრით, ჩაითვალოს, რომ შესაძლებელი იყო ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციების და სხვადასხვა ქვეყნებში ამ მიმართულებით გატარებული და დაგეგმილი ღონისძიებების გათვალისწინებით საქართველოში ტრანსცხიმებთან დაკავშირებული რისკის მართვის სამართლებრივი „ვაკუუმის“ შევსება და ჰიგიენური რეგლამენტირების საკითხების გადაწყვეტა, მით უმეტეს რომ არსებობდა ეჭვი მოსახლეობის ჯანმრთელობაზე ტრანსცხიმებით განპირობებული საშიშროების შესახებ. დასადასტურებლად შეგვიძლია მოვიყვანოთ მონაცემების ჩამონათვალი რაც შეგროვილ და მოძიებულ იქნა ტრანსცხიმებთან დაკავშირებული რისკების შეფასების პროცესში. სამეცნიერო დასკვნის მომზადების პროცესში მოძიებულ და განხილულ იქნა:

- სამეცნიერო ლიტერატურიდან მოძიებული წყაროები (წყაროები მითითებულია სამეცნიერო დასკვნაში);

- სასურსათო ჯაჭვში მონაწილე ბიზნესოპერატორებისგან მიღებული ინფორმაცია. კერძოდ, მოძიებულ და განხილულ იქნა ბიზნეს-ოპერატორების მიერ იმპორტირებული და ნედლეულის სახით გამოყენებული, მცენარეული ცხიმების სპეციფიკაციები და ტრანსცხიმების ოდენობის აღმნიშვნელი სერტიფიკატები.
- განხორციელდა ბიზნეს-ოპერატორების, რისკის შემფასებლების, რისკის მართველების, მეცნიერების, მაკონტროლებელი ორგანოების და სახელმწიფო მოხელეთა შეხვედრები, მათგან რეალური ინფორმაციის მიღების და რისკის ანალიზის ფარგლებში რისკის შეფასების მეთოდოლოგიით განსაზღვრული კომუნიკაციის უზრუნველყოფის მიზნით.
- კერძოდ განხილულია:
 - სამთავრობო დაწესებულებებიდან, კერძოდ შემოსავლების სამსახურიდან 2014 წელს იმპორტირებული მცენარეული ცხიმების და მისი პროდუქტების ოდენობის შესახებ მიღებული სრული ინფორმაცია;
 - შესაბამისი საერთაშორისო ორგანიზაციების მონაცემთა ბაზებიდან და სხვა წყაროებიდან მიღებული ინფორმაცია, მათ შორის საქართველოს საზღვრებს გარეთ განხორციელებული კვლევები სასურსათო პროდუქციაში ტრანს-ცხიმების, როგორც მეცნიერულად დადასტურებული საფრთხის გავრცელებისა და არსებობის შესახებ;
 - დანიელი მეცნიერის, პროფესორ სტინ სტენდერის (კოპენჰაგენის საუნივერსიტეტო ჰოსპიტალის კლინიკური ბიოქიმიის დეპარტამენტი) მიერ ორგანიზებული კვლევების შედეგები. (თბილისში ვიზიტის დროს მის მიერ სავაჭრო ქსელიდან აღებულ იქნა 50 ნიმუში, რომლის ანალიზი ჩატარდა დანიაში). კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, საკონდიტრო ნაწარმის 50 ნიმუშში ტრანს-ცხიმების შემცველობის საშუალო მაჩვენებელმა შეადგინა -16,6%.
 - ასევე გავითვალისწინეთ „მომხმარებელი -ge“-ს მიერ თავის ოფიციალურ ინტერნეტ-გვერდზე ატვირთული ინფორმაცია საქართველოს სამომხმარებლო ბაზარზე არსებულ სასურსათო პროდუქციაში ტრანს-ცხიმების შემცველობის შესახებ, (იხილეთ: http://www.momxmarebeli.ge/images/file_890444.pdf)

აღნიშნული სახის მონაცემები უკვე იძლევა საფუძველს, რომ განხორციელდეს „საფრთხის სავარაუდო ზეგავლენის პროგნოზირება“, რაც ასევე წარმოადგენს რისკის შეფასების მეთოდოლოგიით რისკის შესაფასებელ ერთ-ერთ ხერხს. თუმცა, აქვე გვსურს დავაზუსტოთ, რომ ნორმირების საკითხები არის სახელმწიფო პოლიტიკის ნაწილი და ის შესაძლოა იცვლებოდეს რისკის დონეების გაუთვალისწინებლად.

მით უმეტეს, რომ ეს შესაძლებლობა სამართლებრივად უზრუნველყოფილია საქართველოს კანონის „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი“-ს მე-3 მუხლის თანახმად, რომელზე დაყრდნობითაც პრევენციის პრინციპი აღიარებულია სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ცხოველთა ჯანმრთელობისა და მცენარეთა დაცვის ერთ-ერთ ძირითად პრინციპად, რათა უზრუნველყოფილი იქნეს საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის მაღალი დონე. ეს პრინციპი საშუალებას აძლევს საქართველოს შესაბამის სახელისუფლებო ორგანოებს მიიღონ სამართლებრივი გადაწყვეტილებები - სურსათის უვნებლობის კუთხით მოსალოდნელ სირთულეებთან დაკავშირებით.

ამასთან გვსურს დავაზუსტოთ, რომ მცენარეულ ცხიმებში ტრანსცხიმების შემცველობის ზღვრული დასაშვები ნორმა დადგენილ იქნა არა რისკის შემფასებლის მიერ, არამედ რისკის მმართველის მიერ, თუმცა რისკის შემფასებელს აქვს შესაძლებლობა მიაწოდოს რისკის მმართველს ალტერნატიული ღონისძიებების ჩამონათვალი და მათ შორის - რეკომენდაციები რეფერენტული დოზების ან სურსათში ნივთიერებათა კონცენტრაციების ნორმების თაობაზე.

რაც შეეხება სხვა პოპტენციურ საფრთხეებს, ვფიქრობთ, რომ გარკვეულ საფრთხეებთან დაკავშირებით უმჯობესი იქნებოდა ექსპოზიციის შეფასებისას გვექონოდა საქართველოს მოსახლეობის „ფაქტიური კვების“ მონაცემები, თუმცა ასეთი მონაცემების შეგროვება საკმაოდ ძვირადღირებულია და საჭიროებს რისკის მმართველი ორგანოების მიერ ფართომასშტაბიანი კვლევების განხორციელების ორგანიზებას.

რისკის შემფასებელი სტრუქტურების მხრიდან ეროვნული მასშტაბით მოსახლეობის ფაქტიური კვების შესწავლა აღიარებულია სამომავლო ქმედებების პრიორიტეტად. ამ კვლევებს წინ უნდა უსწრებდეს მოსამზადებელი სამუშაოები: შესაბამისი მეთოდოლოგიის დამუშავება, ფინანსური უზრუნველყოფა, პერსონალის სწავლება და სხვა ტექნიკური ხასიათის სამუშაოების დაგეგმვა.

დღეისათვის კი ყველა ხელმისაწვდომი მონაცემის შეგროვების საფუძველზე მეცნიერ-ექსპერტების მიერ ხდება სამეცნიერო დასკვნების მომზადება. აღნიშნული ხერხი რისკის შეფასების პროცესში მნიშვნელოვანია, როდესაც არ არსებობს რეპრეზენტატული მონაცემები მოდელირებისთვის. ასევე ზოგჯერ ექსპერტების აზრი ერთადერთი შესაძლებლობაა მოვახდინოთ არანაწინასწარნავარაუდები მოვლენების პროგნოზი (BfR workshop-ის მასალები).

მოსაზრება: მეცნიერთა მიერ შემოთავაზებული საფრთხის შესამცირებელი რეკომენდაციები დაუსაბუთებელია, როგორც მათი შედეგიანობის (ავადობის შემცირების მასშტაბი), ისე, მათი ხარჯიანობის და ხარჯის შედეგთან შეფარდების თვალსაზრისით.

კომენტარი:

რეკომენდაციები, რომელიც მზადდება რისკის შეფასების სამსახურის მიერ (და არა მეცნიერთა მიერ) ვერ იქნება დაუსაბუთებელი, რამეთუ ეს რეკომენდაციები მზადდება მეცნიერთა მიერ მომზადებული სამეცნიერო დასკვნის საფუძველზე.

საქართველოში მოქმედი კანონმდებლობა, რისკის შემფასებლებს, (თქვენგან განსხვავებით) არ ავალდებულებს ავადობის შემცირების მასშტაბებზე რაიმე დასაბუთებული არგუმენტებისა და მეცნიერული დასკვნების მომზადებას, ეს სხვა ინსტიტუციების ზრუნვის საგანია. რისკის შემფასებელი სტრუქტურების უშუალო მიზანია შეფასდეს რისკი, რისკის ხასიათი და ზომა, რათა რისკის მმართველებს ჰქონდეს შესაძლებლობა სწორად გადაანაწილონ არსებული რესურსები და ეფექტური ღონისძიებები გაატარონ რისკების მინიმიზაციისათვის.

რაც შეეხება გასატარებელი ღონისძიებების ხარჯიანობას და მათი განხორციელების ხარჯთეფექტურობის გამოთვლას და ხარჯიანობის და ხარჯის შედეგთან შეფარდების ანალიზის, ეს მისიაც რისკის შემფასებელთა მხრიდან ვერ იქნება რეალიზებული და გატარებული, რამეთუ იგი სცდება რისკის შეფასების წინაშე მდგომ ამოცანებს (საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს) თუმცა რისკის შეფასების რეკომენდაციები, რომელიც თქვენს მიერ უსაფუძვლოდ „დაწუნებული“ მეცნიერთა დამოუკიდებელ დასკვნას ეფუძნება, განიხილება სახელმწიფო პოლიტიკის დონეზე მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის მიზნით (ზოგჯერ თქვენი თანდასწრებითა და გამოხატული მხარდაჭერით).

ხოლო ხარჯიანობის და ხარჯის შედეგთან შეფარდების ანალიზისთვის კი აუცილებელია ერთმანეთს შედარდეს ხარჯები, გაღებული რისკის შემფასებელ სტრუქტურათა მიერ მომზადებულ დასკვნებზე საჯარო ინვესტიციის სახით და ასევე ის ჯანმრთელობის ეფექტები - რომელიც მიიღწევა რისკის მმართველთა მხრიდან გატარებული ინტერვენციის შედეგად. მატერიალურ კონტექსტში აღნიშნული ხარჯის შეფასება უნდა მოხდეს სახელმწიფოს მხრიდან ჯანდაცვაზე დახარჯული რესურსების შემცირების გათვალისწინებით, რაც აღნიშნულ ეტაპზე

განხორციელებას არ ექვემდებარება. (რა კავშირშია ეს ყველაფერი რისკები შეფასების პროცედურებთან?)

მოსაზრება: შესაფასებლად შერჩეული რისკების პრიორიტეტულობა სათუთაა. გაუგებარია, რისკის შეფასების პირველ პრიორიტეტად რატომ არ იყო დასახული ქვეყანაში გავრცელებული სურსათთან დაკავშირებული ისეთი მძიმე დაავადებები, როგორცაა სალმონელოზი, შიგელოზი, ემერიხიოზი, ბრუცელოზი, ჯილეხი, ტრიქინელოზი, ამებიოზი და სხვ.

კომენტარი: შესაფასებელი რისკების პრიორიტეტულობა ეფუძნება რისკის მართველი ორგანოებისა და „დაიტერესებულ მხარეთა“ მიერ ინიცირებულ ქიმიურ, ბიოლოგიურ, ფიზიკურ პოტენციურ საფრთხეებს (2015წ.2.დეკემბრის N 605 დადგენილება, მ -6. პ -4.) სწორედ ამ გზით განხორციელდა რისკის შეფასების სტრუქტურების მიერ 2015-2016 წლებში სამეცნიერო დასკვნების მომზადების საჭიროების განსაზღვრა. აღნიშნული შეფასებები მოიცავს ავტორის მიერ დასახელებულ პოტენციურ საფრთხეებზე დასკვნების მომზადებას, როგორცაა სალმონელოზის, შიგელოზის, ემერიხიოზის გამომწვევები, ასევე მომზადდა დასკვნები სხვა პოტენციურ საფრთხეებთან დაკავშირებით (იხ. srca.gov.ge –ს ოფიციალურ ვებგვერდზე).

მოსაზრება: სურსათთან დაკავშირებულ დაავადებათა შესახებ სტატისტიკური მონაცემები მწირი და არასრულია. დაავადებათა დიდი წილის დიაგნოზს წარმოადგენს „სავარაუდო ინფექციური წარმოშობის დიარეა“ ან „სავარაუდო საკვებისმიერი მოშამვა“. დაავადების მიზეზების ლაბორატორიული კვლევა ძალზე იშვიათია. ასეთი არაზუსტი მონაცემების გამოყენება რისკების შეფასებისთვის ძალზე რთულია.

კომენტარი: ვთვლით, რომ ავტორის მიერ სწორად არის იდენტიფიცირებული აღნიშნული პრობლემა, მასთან დაკავშირებული სირთულეები და საჭიროა არსებულ მონაცემთა უფრო მაღალი სარწმუნოებისა და სანდოობის უზრუნველყოფა. ამ მიზნით, რისკის შემფასებელი სტრუქტურების მხრიდან 2017 წლისთვის დაგეგმილია, რომ შეფასებას დაექვემდებაროს - მონიტორინგის განხორციელებისას მიღებული შედეგების რისკის შეფასების მიზნით გამოყენების არსებული შესაძლებლობები და განუსაზღვრელობები.

თუმცა დღეისათვის აქტიურად მიმდინარეობს რისკის მართვის ღონისძიებების გატარება მაგ. კამპილობაქტერიების, სალმონელას, დარიშხანის და სხვა პოტენციური საფრთხეების მიმართ.

მოსაზრება: რისკის შემფასებლების დაბნევას, შესაძლოა, იწვევდეს ნორმატიულ აქტებში რისკის შეფასებისა და რისკის მართვის პროცედურების არასრული გამიჯვნა. კერძოდ,

დებულებით, რისკის შემფასებელს ევალება „რისკის მისაღები დონის დადგენა“, რაც არა რისკის შეფასების, არამედ რისკის მართვის ფუნქციაა.

კომენტარი:

მთავრობის N605 დადგენილების „რისკის ანალიზის ფარგლებში რისკის შეფასების, რისკის მართვისა და რისკის კომუნიკაციის პროცედურების დამტკიცების შესახებ“ (მ3.მ4.მ5.მ6.მ7.მ8.მ9.) საფუძველზე ვთვლით, რომ ინსტიტუციურად გადანაწილდა რისკის მართვის განხორციელების პროცედურები, რომელიც ეფუძნება რისკის შეფასებისა და რისკის მართვის ინსტიტუციურ გამოიჯვნას. აღნიშნული დოკუმენტი შემუშავდა Codex Alimentarius CAC/GL 62-2007 სტანდარტის - „სურსათის უვნებლობის რისკის ანალიზის სახელმძღვანელო პრინციპების“ მიხედვით.

მოსაზრება: რისკის შეფასების პროცესი არ არის საკმარისად დაცული მასში მონაწილე ექსპერტების მიკერძოებულობის შესაძლებლობისგან, მათ შორის რისკის შეფასებათა განხილვისას: რისკის შეფასების სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს დიდი უმრავლესობა აგრარული მეცნიერებების წარმომადგენლებით არის დაკომპლექტებული, მედიკოსები და კვების ექსპერტები კი ძალზე მწირად არიან წარმოდგენილნი, რაც ქმნის საშიშროებას, რომ ადგილობრივი წარმოების ინტერესებმა ადამიანთა ჯანმრთელობის ინტერესები დაჩრდილოს

კომენტარი:

ეს მოსაზრებები მცდარია, რადგან

რისკის შეფასების განხორციელებისას, ქვეყნის მასშტაბით მოწვეული სათანდაო პროფილის მქონე გამოცდილ მეცნიერთა ჯგუფის (ჰიგიენისტები, მიკრობიოლოგები, ტოქსიკოლოგები, ქიმიკოსები, ტექნოლოგები, “ნუტრიციოლოგები”, ბიოქიმიკოსები და სხვ) მონაწილეობა სამეცნიერო დასკვნის მომზადების პროცესში 80%-100%-ის ფარგლებშია. (შეგიძლიათ იხ. ხელმოწერები შესაბამის დასკვნებში).

მოსაზრება: „რისკის შეფასების სამსახურის მიერ მომზადებული დოკუმენტების ერთ-ერთ ძირითად ნაკლოვანებად ის გარემოება გვესახება, რომ არც ერთი ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რისკის სრულფასოვან შეფასებას, ვინაიდან არ იძლევა ინფორმაციას სურსათით გამოწვეული კონკრეტული დაავადების/ჯანმრთელობის დაზიანების გავრცელების სავარაუდო მასშტაბზე/ალბათობაზე და სიმძიმეზე ქვეყანაში. „კოდექს-ალიმენტარიუსის“ მოთხოვნების მიხედვით, რისკის შეფასება უნდა მოიცავდეს ოთხ ფაზას: საფრთხის იდენტიფიცირებას, საფრთხის დახასიათებას, ექსპოზიციის შეფასებასა და რისკის დახასიათებას.“

კომენტარი:

აღნიშნული კომენტარი, საერთაშორისო სტანდარტებზე დაყრდნობით ხსნის რას ნიშნავს რისკის შეფასება და ა.შ., რაც ალბათ არასპეციალისტებისათვის უფრო მეტი ინფორმაციის და გათვითცნობიერების მომცემი ნაშრომია, ვიდრე რისკის შემფასებელი სტრუქტურებისთვის, რომელთაც იციან აღნიშნული რისკის შეფასების ეს კონკრეტული მეთოდი („კოდექს-ალიმენტარიუსის“).

ამის დასადასტურებლად შეგვიძლია მოვიყვანოთ ევროკავშირიდან სპეციალური მისიით მოწვეული უცხოელი ექსპერტების დასკვნა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით¹:

„Based on till-now-produced materials, we believe that the Centre is fully aware of how to assess risk. This statement is substantiated by the knowledge of the employees of the Risk Assessment Division for the methodologies of EFSA and the fact that the senior center was in BfR, Germany (Das Bundesinstitut für Risikobewertung, The Federal Institute for Risk Assessment). Separately prepared documents are justified, as their basis has been changed and legislation (study about trans isomers’), too“. „მიღებულ მასალებზე დაფუძნებით ჩვენ გვჯერავს რომ ცენტრი სრულიად აცნობიერებს როგორ შეაფასოს რისკი. ეს მტკიცებულება ეფუძნება იმას რომ რისკის შეფასების სამსახურის თანამშრომლებს აქვთ EFSA-ს მეთოდოლოგიების ცოდნა და რომ საბჭოს თავჯდომარე იყო BfR-ში, გერმანიის რისკის შეფასების ფედერალურ ინსტიტუტში. ცალკეული მომზადებული დოკუმენტები გამართლებულია, რადგან მათ საფუძველზე ასევე შეიცვალა კანონმდებლობა (ტრანსიზომერებზე კვლევები).“

რაც იმის მანიშნებელია, რომ უცხოელ ექსპერტებს არ ეპარება ეჭვი იმ ფაქტში, რომ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის შესაბამისმა სტრუქტურებმა კარგად იციან, თუ როგორ უნდა შეაფასონ რისკი.

მოსაზრება:

¹ Mission Report/Tbilisi, Georgia, Project title: “Strengthening the capacity of the National Food Agency of Georgia for risk assessment and risk management”

კოდექს ალიმენტარიუსის რისკის შეფასების კონკრეტული მეთოდი, იდენტიფიცირებულია, როგორც „WTO SPS-შეთანხმებების ფარგლებში SPS-ღონისძიებათა გატარების საფუძველი“, ხოლო რისკის შეფასების პროცესი იდენტიფიცირებულია, როგორც მიდგომა - „ამდენად, WTO SPS-შეთანხმების მიხედვით, რისკების შეფასება არის ის მიდგომა, რომელიც უზრუნველყოფს საერთაშორისო ვაჭრობის დაცვას გაუმართლებელი ეროვნული რეგულაციებისგან უვნებლობის ერთიანი საერთაშორისო სტანდარტის არარსებობის (ან გაუმართლებლობის) პირობებში.“

კომენტარი:

ეს მეთოდი შესაძლოა გამოყენებულ იქნეს იმ რისკების შეფასებისას და ამ სახით განხორციელებული შეფასებების საფუძველზე WTO SPS-შეთანხმებების ფარგლებში, შემდგომ შესაძლოა გატარდეს SPS-ღონისძიებები. თუმცა გვსურს დავაზუსტოთ, რომ რისკების შეფასება შესაძლებელია სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით. ასევე გვსურს შევჩერდეთ ნაშრომში აღნიშნულ რისკის შეფასების პროცესის მიზანზე, რადგან რისკის შემფასებელი სტრუქტურების ძირითად მიზანს წარმოადგენს არა საერთაშორისო ვაჭრობის დაცვა, არამედ პოტენციურ საფრთხეებთან დაკავშირებით საქართველოს მოსახლეობისთვის არსებული რისკების შეფასება დღეისათვის არსებული შესაძლებლობებით. თუმცა არ გამოვრიცხავთ, რომ უნდა გაკეთდეს იმ აქტივობების მონახაზიც, რომელიც ამ მხრივ მნიშვნელოვანი იქნება. სწორედ ამ მიზნით განხორციელდა სამუშაო შეხვედრა აშშ-სა და ბულგარეთის საელჩოს წარმომადგენლებთან; აშშ-სა და ბულგარეთის საელჩოს წარმომადგენლებთან სამუშაო შეხვედრაზე სადაც მიღებულ იქნა გადაწყვეტილება უცხოელ ექსპერტის მოწვევასთან დაკავშირებით, რომელიც გაუწევს დახმარებას რისკის შეფასების სამსახურს სურსათის უვნებლობის სფეროში რისკის შეფასების პროცედურათა ევროპული მიდგომებისა და მეთოდოლოგიის გაცნობა/სწავლებაში საქართველოში არსებული პოტენციალის გათვალისწინებით და რისკის შეფასების სტრუქტურის განვითარების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავებაში, ასევე EFSA-სა და სხვა ქვეყნების რისკის შეფასების ინსტიტუციებს შორის კომუნიკაციის დამყარება/გაუმჯობესებაში. მოწვეული ექსპერტების მიერ ფორმულირებულ ანგარიშში ნათლად არის დასახული მიზანი: „ ეს ანგარიში მიზნად ისახავს შეაჯამოს უახლესი ინფორმაცია იმის შესახებ თუ როგორაა ორგანიზებული რისკის შეფასების, რისკის მართვის, ცხოველთა ჯანმრთელობის და ცხოველთა კეთილდღეობის საკონტროლო სისტემები, და მოახდინოს სურსათის უვნებლობის თითოეულ კომპონენტთან

ასოცირებული საჭიროებების, მიზნების და გამოწვევების იდენტიფიკაცია. ამასთან გაკეთდეს იმ საქმიანობების მონახაზი რომელბიც უზრუნველყოფენ საერთაშორისო ვაჭრობის მოთხოვნების დაცვას“.

მოსაზრება: მნიშვნელოვანია „სურსათის რისკის შეფასებისას დაავადებების მასშტაბების დადგენა, ან იმ ადამიანთა რაოდენობის შეფასება (კომენტარი: რაც თავისთავად გაურკვეველი ტერმინია), რომელთა ჯანმრთელობას ადგება ზიანი სურსათში არსებული ამა თუ იმ საფრთხის შედეგად და აგრეთვე ამ ზიანის სიმძიმე (მაგალითად, ინვალიდობის შედეგად დაკარგული წლების (DALYs) და სიკვდილიანობის კოეფიციენტის სახით).“

კომენტარი:

იდენტიფიცირებულ სურსათის უვნებლობის პრობლემების აღწერასა და სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის მიერ განხორციელებული შეფასებების პროფილს² შორის, რომელიც განსაზღვრავს რისკის შემფასებლის წინაშე მდგარ პრობლემებს და მისგან გამომდინარე - ამოცანებს. კითხვები, რომელიც რისკის პროფილიდან გამომდინარე შესაძლოა დაისვას რისკის შემფასებლების წინაშე შესაძლოა იყოს სხვადასხვა, თუმცა, რაც შეეხება კითხვებს, დაავადებების მასშტაბების ან ქვეყნისთვის სურსათით განპირობებული დაავადებების პრიორიტეტულობის ან დაავადებულთა პრევალენტობის, ინციდენტობისა და სხვა ანალოგიური მახასიათებლების შესახებ, ვთვლით, რომ მათზე პასუხის გაცემა საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კომპეტენციას განეკუთვნება.

ნაშრომში გაკრიტიკებულია იმ სტრუქტურების საქმიანობა (სურსათის რისკის შეფასების სამსახური და საბჭო), რომლებიც საქართველოში ინსტიტუციონალურად წარმოადგენენ არა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სტრუქტურაში შემავალ ერთეულებს, არამედ სოფლის მეურნეობის სამინისტროს საქვეუწყებო ორგანიზაციის სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის სტრუქტურებს. ამდენად კარგი იქნებოდა, როდესაც ფასდება საქართველოში არსებული ვითარება ნებისმიერი კუთხით, იგი დაექვემდებაროს ანალიზს საქართველოს კანონმდებლობის გათვალისწინებით და მოყვანილი

² რისკის პროფილი – სურსათის უვნებლობასთან დაკავშირებული პრობლემისა და მისი შინაარსის აღწერა

მაგალითები განხილულ იქნეს საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე სურსათის უვნებლობასთან მიმართებაში სახელმწიფო ორგანოთა უფლებამოსილებებისა და ვალდებულებების გათვალისწინებით.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს სტრუქტურული ერთეულების (რისკის: შეფასება, მართვა კომუნიკაცია და სხვ...) ძირითადი რისკის შესაფასებელი საკითხი არ არის დაავადებების მასშტაბები, მათი პრევალენტობა, ავადობა, სიკვდილიანობა, და ა.შ. აღნიშნული სტრუქტურათაების საქმიანობა უნდა იყოს განმსაზღვრელი რისკის მართვის კუთხით და განსაკუთრებით კი სურსათის უვნებლობის უზრუნველყოფის კუთხით განსახორციელებელი ინტერვენციებისა, რაც თავისი კომპეტენციის ფარგლებში უნდა განახორციელონ სოფლის მეურნეობის დარგის სახელმწიფო სტრუქტურებმა დაწყებული პოლიტიკის განსაზღვრაში მონაწილეობიდან და სამართლებრივი აქტების შემუშავებაში მონაწილეობიდან დამთავრებული მათი უფლებამოსილებების ფარგლებში სხვა ღონისძიებებისა და შესაბამისი ქმედებების განხორციელებამდე. ცალკეულ შემთხვევებში, რა თქმა უნდა ეს პროცესი შესაძლოა მართვას დაექვემდებაროს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ჩართულობითაც, მაგრამ ეს პროფილი ვერ იქნება ძირითადი და წარმმართველი და ამ კუთხით უარყოფითი შეფასების საფუძველი.

რისკის მმართველის მიერ რისკის შემფასებლებისთვის დასახული ამოცანა უნდა იყოს შეძლებისდაგვარად მკაფიო და გასაგები³. რისკის შემფასებელმა უნდა იცოდეს, თუ რა კითხვას უნდა გაეცეს პასუხი.

ძირითადი კითხვები, რომელზეც აუცილებელია პასუხი გაეცეს შესაძლოა იყოს სხვადასხვა სახის:

- რა შემთხვევები შეიძლება მოხდეს და რა შეიძლება იყოს მათი მიზეზი (საიდენტიფიკაციო საშიში შემთხვევები)?

- როგორია გარკვეული მოვლენების შედეგები?

³ დადგენილება 605, მუხლი 3. რისკის შეფასების პოლიტიკა, პუნქტი 3.

- როგორია ამ მოვლენების კლების ალბათობა?

- რომელმა ფაქტორებმა შეიძლება შეამციროს გვერდითი მოვლენები ან შეამციროს რისკი სახიფათო სიტუაციებში?

- რომელი სახის სურსათი საჭიროებს განსაკუთრებულ მონიტორინგს და რისკის მართვის სპეციალური ღონისძიებების გატარებას ?

- და სხვა.

- რისკის შემფასებელი სტრუქტურების მხრიდან ამ უკანასკნელი შეკითხვის პასუხად მომზადდა სამეცნიერო დასკვნა და შემუშავდა რეკომენდაციები მაგ. ფრინველის MDM/MSM ში Salmonella -სთან დაკავშირებული რისკების მართვის დამატებითი ღონისძიებების თაობაზე, რაც გათვალისწინებულ იქნა ხელისუფლების მხრიდან და მომზადდა შესაბამისი ცვლილება სათანადო მთავრობის დადგენილებაში⁴. ეს შექმნის მეტ გარანტიას მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისთვის. ალბათ, რისკის შემფასებელი სტრუქტურების მხრიდან არსებული ვითარების გაანალიზება იყო საფუძველი იმ გადაწყვეტილებისა, რომელზეც მნიშვნელოვნად იყო დამოკიდებული ჩვენი მოსახლეობის ჯანმრთელობა და არა მხოლოდ ის მიზანი, რომელიც ფორმულირებულია ავტორის მიერ, როგორც „საერთაშორისო ვაჭრობის დაცვა გაუმართლებელი ეროვნული რეგულაციებისგან„.

ასევე შესაძლოა რისკის შემფასებელი სტრუქტურების წინაშე დაისვას ისეთი კითხვები, როგორცაა:

- სასურსათო მიმოქცევის ჯაჭვში იმ სუსტი რგოლის დადგენა, რაც მნიშვნელოვნად ზრდის კონკრეტულ რისკს და უნდა დაექვემდებაროს მართვის სპეციალური ღონისძიებების გატარებას და სხვა.

⁴ „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ ნებართვების გაცემის წესის, პირობებისა და სანებართვო მოწმობების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 31 დეკემბრის No426 დადგენილება

რაც შესაძლოა საჭიროებდეს კონტამინაციის დონეების დადგენას, პროდუქციის სავარაუდო ეგზოგენური დაბინძურების გამოვლენას, ადამიანისათვის პათოგენური სეროტიპების იდენტიფიცირებას, ბიზნესოპერატორთა მიერ რისკ-ფაქტორების მართვის არასათანადო დონეების მხრივ გამოვლენილი ხარვეზების შეფასებას, HACCP-ის პრინციპებზე დაფუძნებული სისტემის ვალდებულების არქონის წილს იდენტიფიცირებული პრობლემის მართვის საკითხებში, ევროკავშირისა და საქართველოს კანონმდებლობით დღეისათვის დადგენილი კრიტერიუმების შეუთავსებადობას, როგორც პროდუქციის დადგენილი ლიმიტების, ასევე ნიმუშის აღების გეგმების მხრივ. აღნიშნული საკითხების გათვალისწინებით ყალიბდება მეცნიერული დასკვნები და მუშავდება რისკის მართვისთვის აუცილებელი ალტერნატიული ღონისძიებების თაობაზე რეკომენდაციები.

•

- ამ მიზნით მომზადდა სამეცნიერო დასკვნა და რეკომენდაციები
- ამ მიზნის მისაღწევად კი საჭიროა ევროკავშირის განვითარებული ქვეყნების მსგავსი და ექვივალენტური რესურსების მქონე ინსტიტუციის ჩამოყალიბება, მაგალითად, როგორც არის ბერლინის რისკის შეფასების ინსტიტუტი, რაზეც დღეისათვის ხელი თვით ევროკავშირში შემავალ ბევრ ქვეყანას არ მიუწვდება, თუმცა ეს არ არის იმის საფუძველი, რომ ეს ქვეყნები არ ახორციელებენ რისკის შეფასებას იმ არსებული მტკიცებულებებითა და რესურსებით, რაც მათ გააჩნიათ. ვფიქრობ, დღეისათვის მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა რისკის შეფასების შესაძლებლობების კიდევ უფრო გაზრდისთვის და სრულყოფისთვის და ეს არის პერმანენტული პროცესი.

ან მომხმარებელთა მხრიდან კონკრეტული საფრთხის მიმართ პრევენციული ღონისძიებების გატარების საჭიროება და ა.შ.

შესაბამისად რისკის შემფასებელთა მხრიდან ხდება მოძიებული და წარმოდგენილი მასალების დამუშავება აღწერილობითი და შედარებითი მეთოდოლოგიის გამოყენებით. ხელმისაწვდომი ინფორმაციისა და მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე ყალიბდება შესასწავლი პრობლემის ერთიანი სურათი, რაც საკმარისია იმ ლოგიკური ჯაჭვის შექმნის

უზრუნველსაყოფად, რომელზე დაყრდნობითაც გარკვეული რისკ-ფაქტორების გათვალისწინებით ხდება პასუხის გაცემა რისკთან დაკავშირებულ ზოგიერთ საკითხებზე.

მოსაზრება: მიგვაჩნია, რომ საქართველოში განხორციელებული რისკების შეფასებების ხარისხის, გამოსადეგობისა და სანდოობის ასამაღლებლად აუცილებელია აღწერილ ნაკლოვანებათა დროული აღმოფხვრა. წინააღმდეგ შემთხვევაში საქართველოს პრობლემები შეექმნება როგორც WTO SPS-შეთანხმების შესრულების, ასევე, აპროქსიმაციის შედეგად ჩამოყალიბებული სურსათის უვნებლობის სისტემის ევროკავშირთან ანალოგიურ სისტემასთან ეკვივალენტობის შეფასების თვალსაზრისით.

კომენტარი

რისკების შეფასების ინსტიტუციური სისტემის განვითარება, შეფასების ხარისხისა და სანდოობის ამაღლება ჩვენი ყოველდღიური ზრუნვის საგანს წარმოადგენს სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის მხრიდან მხარდაჭერილია უცხოელი ექსპერტების აქტიური მონაწილეობა რისკის შემფასებელი სტრუქტურების საქმიანობის როგორც შეფასების, ასევე სამომავლო პრიორიტეტების იდენტიფიცირების კუთხით. რისკის შეფასების სამსახურის ხელმძღვანელი -მაია მეტრეველი წარმოადგენს ევროპის სურსათის უვნებლობის სააგენტოს (EFSA) ძირითად საკონტაქტო პირს.

სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის 2016 წლის 15 აგვისტოს N04/997 წერილის საფუძველზე, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ეთხოვა შუამდგომლობა გაეროს სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (UN FAO) საქართველოს წარმომადგენლობასთან „სურსათის უვნებლობის რისკის შეფასების სტრუქტურების ინსტიტუციონალური გაძლიერების“ ტექნიკური დახმარების პროგრამის მომზადებისთვის, რომელშიც ასევე გათვალისწინებულია: 2015-2016 წლებში რისკის შეფასების სტრუქტურების მიერ განხორციელებული საქმიანობის SWOT ანალიზი და მისგან გამომდინარე პროფესიული დახმარება.

ზემოთ აღნიშნული მისით 2016 წლის 17-22 ოქტომბერს თბილისში იმყოფებოდნენ ექსპერტები პროექტის “Strengthening the capacity of the National Food Agency of Georgia for risk assessment and risk management” ფარგლებში და მათ მიერ უკვე მომზადებულია და საქართველოს შესაბამისი სტრუქტურებისთვის წარდგენილია „მისიის ანგარიში“.

TAEX-ის პროგრამის ფარგლებში ასევე 15-20 იანვარს დაგეგმილია ტრენინგები რისკის შეფასების საკითხებზე, რომელსაც წარუძღვება EFSA-ს ექსპერტი.

2016 წლის ივნისი-ივლისის პერიოდში რისკის შეფასების სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს 2 წარმომადგენელი იმყოფებოდა ბერლინის ფედერალურ რისკის შეფასების ინსტიტუტში, სადაც

გაიარეს თეორიული და პრაქტიკული სწავლება სურსათის უვნებლობის სფეროში რისკის შეფასების მეცნიერული პრინციპებისა და კომუნიკაციის საკითხებზე.

აღნიშნული აქტივობები ხელს შეუწყობს რისკის შეფასების პროცესების სრულყოფასა და შესაძლებლობების ზრდას.


ჩვენ აზრით, წარმოდგენილი მტკიცებულებები საკმარისი პირობაა იმისთვის, რომ თუნდაც გაუთვითცნობიერებელმა სპეციალისტებმაც კი არ ჩათვალონ, რომ ასეთი გადაწყვეტილებების მიღება იყო ნაადრევი, არაკომპეტენტური და საქართველოსთვის და მისი მოსახლეობისთვის საზიანო.

იმედს გამოვთქვამთ, რომ მომავალში სხვადასხვა ექსპერტების მხრიდან რისკის შეფასების ფარგლებში განხორციელებული პროცესების ექსპერტული დასკვნები, ხელს შეუწყობს რისკების შეფასების ინსტიტუციური სისტემის განვითარებას და სურსათის უვნებლობის სფეროში არსებული რისკების მინიმიზაციას,

სურსათის რისკის შეფასების

სამეცნიერო-საკონსულტაციო

საბჭოს თავმჯდომარე



ქ. დადიანი

სოფლის მეურნეობის

მეცნიერებათა აკადემიის

აკადემიკოს-მდივანი



ზ. ცქიტიშვილი